# სახალხო გაზეთი

№ 732 ხუთშაბათი, 25 ოქტომბერი 1912 წ. № 732

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; [illegible] წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარიკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისოვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.

,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა

1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).

საზღვარ-გარეთ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., ; მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და იმიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

**ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა დეპუტატთა საკრებულო** აცხადებს, რომ **ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, ქვაშვეთის** წმიდა გიორგის ეკლესიაში, გადახდილი იქნება **პანაშვიდი** ტფილისის გუბერნიის **წინამძღოლად** ნამყოფის

## დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის

**სულის მოსახსენებლად,** გარდაცვალების დღიდან 25 წლის შესრულების გამო. პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევის 2 ს. 1562

---

**კნ. ვარვარა ალექსანდრეს ასული და თავადი ალექსანდრე მიხეილის ძე სუმბათაშვილები,** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უეცრად გარდაცვალებულ შვილის მეშვიდე კლასის რეალურ სასწავლებლის მოწაფის

## ყორყიპას

გარდაცვალებას. გამოასვენებენ 26 ოქტ. დილ. 9 ს., საკ. სახ. (მიხ. პრ.) წმ. გიორგ. ქვაშ. ეკლეს. დ დაასაფლავებენ წმ. ბარბარეს შორის ეკლესიაში. 751.

---

**კნ. დარია ალექსანდრეს ასული, ლევან ლევანის ძე ჩერქეზიშვილები,** მადლობას უცხადებენ ყველა იმ პირთ, ვინც წერილით ანუ პირადად თანაგრძნობა გამოუცხადა მათი ასულის

## თამარის

გარდაცვალების გამო. 748.

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვერცილის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დავითიანი** რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი** გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი** გ. გ. (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი** ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი** გ. ლ. კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფედოროვი** რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა** ლ. (ყოველ დღე) 11—12.<br>**თაყაიშვილი** ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი** ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულხანოვი** ა. ი. (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ. ქალი **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო. დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე** შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი** ე. გ. (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სულ. და ელექ. | **გედევანიშვილი** მ. ა. (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი** რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი,** გ. ს. (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი** ნ. ა. (ყოველ დღე) 12½—1½<br>**ირემბოვსკი** ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალ. სნეულ. | **მუსხელიშვილი** გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე** ა. ნ. (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა შანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; ,,606'' 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს,** 1912 წ.

ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება ერთ საღამოს **ორი ახალი ორიგინალური პიესა ცნობილ ავტორებისა:**

I

## ოჯახი

კომედია 3 მოქ. **ი. გედევანიშვილისა.**

II

## აბესალომის თმები

შარჟი 1 მოქ. **ნ. შიუკაშვილისა.**

მონაწ. ღებულობენ: ქ-ნნი აბაშიძე, გოგოლაშვილი, ლოლუა, შოთაძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბდუშელი, გუნია, გედევანოვი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, ციციშვილი შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**

თეატრის დირექცია დაბეჯითებით სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.

**ანონსი:** კვირას, 28 ოქტომბერს წარმ. იქნება **მესამედ ცნობილი ტრაღედია სოფოკლესი—,,ანტიგონე''.**

რეჟისორი **შალიკაშვილი.**

1554 ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.

---

**ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების ტფილისის წიგნის მაღაზიაში** ისყიდება ახალი გამოცემა ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა

## გრდემლი

სალიტერატურო კრებული **წიგნი მეორე.**

შინაარსი: **გ. ბარნოვი** ფარჩის ახალუხი, **ა. შანშიაშვილი**—მედია და ელენე, **უიარაღო**—მამელუკი, **ს. აბაშელი**—ლექსები, **ჯ. ჟორჟიკია**—ქალი, რომელსაც თავისი სახე არ უნდა ენახა, **ევდოშვილი**—ლექსი, **ა. პაპავა**—ქალის ცრემლები, **ი. გრიშაშვილი**—ლექსები, **ნ. ლორთქიფანიძე**—მრისხანე ბატონი, **კიკნა-ფშაველა**—ლექსი, **შ. უმბაძე**—ზღვის ქალი, **მ. უზნაძე**—ლექსი, **ექ. გაბაშვილი**—ფრთებ დაგლეჯილი, **გ. ტაბიძე**—ლექსი, **დუტუ მეგრელი**—პატარა სოფოს სიკვდილი, **კ. აბაშისპირელი**—ლექსი, **ნ. ნაკაშიძე**—ვინ არის დამნაშავე. **ფასი 1 მან. 50 კაპ.**

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20 პროცენტი. საწყობი იმყოფება გ. ს. რცხილაძის ბინაზე, ოლგის ქუჩის შესახვევში, სახლში № 5. 1561.

---

## ამხ. ,,ნახშირა''-ს

### გამგეობა

აუწყებს **ქვა-ნახშირისა და სათბობ მასალების ტფილისის საწყობთა პატრონებს,** რომ რადგანაც ამ საზოგადოების ხელშეკრულებას ტყვიბულის ქვა-ნახშირის მონოპოლიურ გაყიდვის თაობაზე **ვადა გაუვიდა,** ამისათვის დღეის მერე ვაგონები დაიკვეთეს პირდაპირ ყველა მსურველთაგან საზოგადოების გამგეობის ბინაზე, სოლოლაკის ქუჩა № 14. 744

---

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სახელოსნოში

**მიიღებენ შესაკერად კაბებს:** ქალებისას და ბავშვებისას ხელმისაწდომ ფასებში. იქვე მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს აბრეშუმით ნაკერს და საცვლებზე ნიშნების (მეტკების) ამოკერვას. გაბაანთ ქუჩა № 3. **სახელოსნოს მართველად და ხელმძღვანელად მოწვეულია მცოდნე და გამოცდილი პირი.** 719.

---

„ქართული დრამატიული საზოგადოება"

## მეცადინეობა ქართულ დრამატიულ კურსებზე

**დაიწყება პარასკევიდან, 26 ოქტომბერს.**

ლექტორებად და მასწავლებლებად მოწვეულნი არიან:

**ვ. ალექსი-მესხიშვილი** (მიმიკა, გრიმი და დეკლამაცია), **ვახ. ღამბაშიძე** (ანატომია და ფიზიოლოგია), **ვალ. გუნია** (ქართული თეატრისა და დრამის ისტორია), **გრიგ. დიასამიძე** (მსოფლიო თეატრის ისტორია), **ნიკ. დუბროვსკი** (მსოფლიო ლიტერატურა), **გიორ. იგნატიევი** (ტანთ ვარჯიშობა და კეწლაობა), **ნიკ. ქართველიშვილი** (სოლფეჯიო და მუსიკა), **დავ. კილოსანიძე** (ხელოვნებათა ისტორია), **სერ. კაკაბაძე** (საქართველოს ისტორია და ძველი მწერლობა), **იაკ. ნიკოლაძე** (მხატვრობა და ქანდაკება), **გრ. ნათაძე** (მსოფლიო ისტორია), **ლ. ოვერლო** (პლასტიკა და ცეკვა), **მიხ. წულუკიძე** (ახალი ქართული მწერლობა).

**პრაქტიკული მეცადინეობა და ვარჯიშობა**

**(ვ. მესხიშვილი და ვალ. გუნია)**

ლექციები და მეცადინეობა დაიწყება საღამოს 4½ საათზე. მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნონ ყოველ დღე ქართულს თეატრში ვლ. მესხიშვილთან და ვალ. გუნიასთან. 1554.

---

შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.**
**თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ერევანში--ელენე ვირსალაძესთან**

**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან. გორში—ნიკო ლომოურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 1153

---

## გამოსულია და იყიდება

## ი. გედევანიშვილის პიესა

## „გამცემი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

---

**გამოსულია და იყიდება**

## ნ. შიუკაშვილის

პიესა „მეგობრობა", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის თვალსაჩინო ბლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ.-დან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპიზოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს 11½ ს.

**ახვლედიანი** შინაგან ნერვ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

**ბოჟოვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკევ. საღამ. 4—5 ს.

**მონნე.** ბავშ. და შინაგ. ავად ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვეხელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ ,,606''-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. 366.

---

**დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.**

## გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ.—ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 724

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**გ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა ,,606''-ით.** 1018

---

## ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

---

ექიმი მედიცინისა

## ნ. ს. არემბოვსკი

ტფილისში **დაბრუნდა** და ავადმყოფთა მიღება განაახლა. იღებს **ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფთ,** ყოველ დღე, საღამოს 4—7 საათამდე. ოლგის ქუჩა, სახლი № 22. 749

---

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

---

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

---

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

---

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

---

## ექიმი ს. ი. ბძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბორონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411

---

## ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

---

## ექიმი ივ. გომართელი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.

---

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.

---

## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

---

## ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

---

## ტფილისი, 25 ოქტომბერი

**ჩვენი ქვეყანა და სეპარატიზმი.**

დღევანდელ ჩვენს გაზეთში იბეჭდება კავკასიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის აზრი კავკასიაზე საზოგადოდ და კერძოდ კი ქართველებსა და სომხებზე. ნამესტნიკი, სხვათა შორის, ეხება იმ საკითხსაც, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, მაგრამ რომელზედაც ძალიან უყვართ ლაპარაკი რუსის შოვინისტებს—სეპარატიზმს. ნამესტნიკი ეხლაც, როგორც ყოველთვის, უარჰყოფს სეპარატისტულ მოძრაობის არსებობას ამიერ კავკასიაში. „გოლოს კავკაზა" ტიპის გაზეთები უეჭველია ნამესტნიკის განცხადებით არ დაკმაყოფილდებიან და ამიერ კავკასიის ერთა ზოგიერთს სამართლიან, ეროვნულ ხასიათის მოთხოვნილებებს ისევ სეპარატიზმად მონათლავენ. დიდი ხანია სეპარატიზმი ერთი ჯურის მწერალთა ხელში საფრთხობელად გადაიქცა. სეპარატიზმზე აყაყანდებიან ხოლმე ყოველთვის, როდესაც კი ლაპარაკი კავკასიისთვის საჭირო რეფორმებზე ჩამოვარდება. დაფარული აზრი ყველა ამ ჟრიამულისა ცხადია: იგი უნდობლობას იწვევს ადგილობრივ მკვიდრთადმი და სამაგიეროდ წინ აყენებს კარიერისტ-მოხელეთა მნიშვნელობას. მხოლოდ პირადი ეგოისტური მოსაზრებანი ალაპარაკებს მათ და არა სახელმწიფოებრივი ინტერესი. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ პა-

ტარა, 5—6 წლის ქალ-ვაჟთა სამშობლო ენაზე სწავლებაში სახელმწიფოს მთლიანობისთვის ვერავითარ საფრთხეს ვერ აღმოაჩენდნენ. ასეთი შემთხვევები კი ბევრი ყოფილა ჩვენში. წინასწარგრძნობით, ადგილობრივ მკვიდრთადმი სიძულვილით აღჭურვილ პირებთან საბუთებით ლაპარაკი შეუძლებელია.

მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც ადგილობრივ მკვიდრთადმი სიძულვილი არ ამოძრავებს, რომელნიც, შეიძლება გულ-წრფელად არიან დარწმუნებულნი, რომ მცირეოდენ ეროვნულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც კი აუცილებლად იმდენად გააძლიერებს ადგილობრივ მკვიდრთ, რომ ბოლოს უსათუოდ სეპარატისტული მოძრაობაც დაიწყებაო. დაახლოვებით ამნაირად მსჯელობდა ამ ცოტა ხნის წინად ბ-ნი ბუნდიტიც „გოლოს კავკაზა“-ში. დღეს ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიასა თხოულობთ, ხვალ ავტონომიას მოითხოვთ და ზეგ კი შეიძლება ავტონომიამაც არ დაგაკმაყოფილოთ და სეპარატიზმი მოითხოვოთო. ამიტომ... დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: უნდა სათავეშივე ჩავკლათ ყოველივე ეროვნული ცხოვრება. სეპარატიზმით შეშინებულნი თხოულობენ ისეთს წესების შემოღებას, როდესაც მინიმალური ეროვნული საჭიროებანიც ვერ დაკმაყოფილდება. თუ ბუნდიტი და იმის მსგავსი მწერლები გულ-წრფელნი არიან, მხოლოდ სეპარატიზმის შიშით მოითხოვენ ამიერ კავკასიის ერთა ეროვნულ ცხოვრების შევიწროვებას დაარა ბრმა, დაუსაბუთებელ სიძულვილის გამო,—მაშინ კიდეც უნდა დაამტკიცონ, რომ სეპარატიზმი არამც თუ არსებობს, არამედ შესაძლებელიც არის არსებობდეს.

ჩვენ კი ვამტკიცებთ, რომ სეპარატიზმი არც არსებობს, არც შეიძლება არსებობდეს და სწორედ ამ უკანასკნელ მიზეზის გამო არც შემდეგში იარსებებს.

სეპარატიზმი განცალკევებასა ჰნიშნავს. ვინც, მაგალითად, ქართველების შესახებ ამბობს, სეპარატისტები არიან, ის ამტკიცებს იმ აზრს, რომ ქართველებს უნდათ რუსეთის სახელმწიფოს გამოეყონ და შექმნან სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფო მთელი თავისი ატრიბუტებით — ჯარით, ფლოტით, უმაღლეს მთავრობით და სხვა. ცხადია ასეთი მისწრაფება ქართველ ხალხში არ არსებობს. ქართველი ხალხის ცხოვრება იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთთან, კავშირი ისეთი შორეული ისტორიული წარსულიდან დაიწყო, რომ დღეს მხოლოდ პოლიტიკურ რომანტიკოსს თუ დაებადება ასეთი ავადმყოფი აზრი. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ადამიანი ერთიც არ მოიძებნება საქართველოში.

მაგრამ მოწინააღმდეგეებმა შეიძლება გვითხრან: დღეს სეპარატისტული აზრი საქართველოში მხოლოდ ამიტომ ვერ იკიდებს ფეხსა, რომ იმისთვის სათანადო ობიექტიური პირობები არ არსებობსო. შეიძლება განსაზღვრულმა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ ასეთი მოძრაობაც დაჰბადოსო. წარსულ წლების მაგალითი გვიჩვენებს, რომ რევოლუციის უმაღლეს წერტილამდე განვითარების დროსაც კი საქართველოში სეპარატისტული აზროვნება არ დაბადებულა. პირ-იქით, ყველა პოლიტიკური ორგანიზაციები, ავტონომისტებიც კი, ერთხმად გაიძახოდნენ, ჩვენი გზა რუსეთის საერთო გზაა, ჩვენი განვითარება მხოლოდ იმ კალაპოტით შეიძლება მიმდინარეობდეს, რა კალაპოტითაც რუსეთის ცხოვრება მიმდინარეობსო. ასეთი შეხედულება, რა თქმა უნდა, დეცენტრალიზმისა და ავტონომიის საკითხის წამოყენებას არ უარჰყოფდა, მაგრამ სეპარატიზმი კი, რუსეთის სახელმწიფოდან ჩამოშორება, არსად არ იყო, იგი მხოლოდ რუს შოვინისტების ექვიან გულში ტრიალებდა.

რუსეთის კონსერვატიული გაზეთები „ნოვოე ვრემია“-ს მეთაურობით სეპარატიზმს სხვაგან ეძებდნენ—გარეშე პოლიტიკაში. საქმის ვითარება იმნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი, თითქოს გარეშე საქმეები ოდესმე ორნაირად შეიძლება მოეწყოს, რომ კავკასიაში სეპარატისტული მოძრაობა გამოიწვიოს. დიდი პოლიტიკოსური გამჭრიახობა არ არის საჭირო იმისთვის, რომ ასეთი შედეგიც შეუძლებლად იქმნას აღიარებული. რუსეთი იმდენად მტკიცედა სდგას კავკასიის საზღვრებზე, რომ არაფერი მოულოდნელი აქ წარმოსადგენი არ არის. რუსეთს კავკასიის საზღვართან ძლიერი პოლიტიკური კონკურენტი არა ჰყავს, და ამიტომ ეს შიშიც სრულიად უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს.

ამ რიგად, არ არსებობს არც ერთი ისეთი გარემოება, რომელსაც შეეძლოს სეპარატისტულ მოძრაობის გამოწვევა ამიერ-კავკასიაში არა მარტო ეხლა, შემდეგშიაც კი. ამიტომ ყვირილი ამიერ კავკასიელთა სეპარატიზმზე სრულიად უსაფუძვლოა.

თუ ეს ასეა, მაშინ რა აზრი და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს არა რუსთა ეროვნულ შევიწროვებას, თუ საქმეს რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესების თვალსაზრისით შევხედავთ, და არა კავკასიაში მცხოვრებ რუს—მოხელეთა ვიწრო ინტერესების თვალსაზრისით? სრულიად არავითარი. იგი მხოლოდ აძლიერებს უკმაყოფილებას, შეუძლებლადა ჰხდის ნორმალურ განვითარებას და ამით ძირს უთხრის თვით იმ ერთობას, რომელზედაც რუსის შოვინისტები ყოველს წუთს გაჰკივიან.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი** გუშინ, დილის 10 საათსა და 14 წ. ჩქარის მატარებლით ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა ეგზარხოსი სადგურამდე გააცილეს. სამღვდელოებისა და საერო უწყებათა უმაღლესმა წარმომადგენლებმა.

✦ **ტფ. სასულიერო სემინარიის ინსპექტორად** დაინიშნა პსკოვის სემინარიის ინსპექტორი სმერდინსკი, რომლის ალაგზედაც გადაიყვანეს ტფ. სემინარიის ინსპექტორი იაკუბოვიჩი.

✦ **ტრამვაის დაჯარიმება.** როგორც ვწერდით, 20 ოქტომბერს ტრამვაის ვაგონების საკმაო რიცხვი არა მუშაობდა ტფილისში. რაც იყო ისიც წესიერად არა მუშაობდა. ამის გამო ქალაქის კანტროლიორმა ქალაქის მთავარს კანტროლიორს ქაღალდი წარუდგინა და შუამდგომლობს, ტრამვაის დირექცია 1,484 მან. დააჯარიმოს,

✦ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის** გუშინ ქალაქის მესამე უბანში 4 ოქმი შეადგინეს მეპურეებსა და ყასბებზე.

✦ **ჯარიმები.** ქალაქის თვითმმართველობასთან დადებულ ხელშეკრულობათა დარღვევისათვის ქალაქის გამგეობამ დააჯარიმა შემდეგი საელექტრონო სადგურები: ლაზარევისა და ბორისოვა—108 მანეთით, შუკკერტისა—21 მ. და „ამფერი“—22 მან.

✦ **სტიპენდია.** ქალაქის გამგეობამ გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც გ. მ. თამამშევის სახელობის სტიპენდია სტუდენტს ო. დერზიბაშევს დაენიშნა.

✦ **თავის მოკვლა.** 23 ოქტომბერს ნაშუადღევის $4^1/_2$ საათ., ტფ. რეალურ სასწავლებლის მეშვიდე კლასის მოსწავლე თავადმა გიორგი ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილმა რომელიც სცხოვრობდა დედმამის სახლში (მიხეილის პროსპექტი, № 126), თავის ოთახში რავოლვერი დაირტყა მარჯვენა საფეთქელში. ტყვია მარცხენა საფეთქელში გაჩერდა: რევოლვერის ხმაზე, ოთახში, შევარდა გიორგის ძმა, მიხეილი, მაგრამ გვიან იყო: დაჭრილს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ჰქონდა. ჰფიქრობენ, რომ რევოლვერი განსვენებულს უცაბედად გაუვარდა და არც იცოდა, თუ რევოლვერში ტყვია იდო.

✦ **კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი** ამ ჟამად რიგაში იმყოფება, სადაც გაიცნობს იქაურ პოლიტეხნიკუმის საქმეს, რათა შემდეგ, ტფილისში დაბრუნებისას, შეადგინოს გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა ტფილისის პოლიტეხნიკუმისა.

✦ სამოსამართლო პალატის უფროსი თავჯდომარე ბ-ნი **ლაგოდა** ტფილისს დაბრუნდა.

✦ **უეცრად გარდაიცვალა.** „როსტოვის“ ნომრებში მილიციის პრაპორშჩიკი თავ. სოლომონ ალექსის ძე მხეიძე, რომელიც ტფილისში 30 სექტემბერს სამკურნალოდ ჩამოვიდა.

✦ 23 ოქტომბერს ტფილისში 46 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ შეიპყრეს ციხიდან ახალად განთავისუფლებული ტროფიმ დემიდენკო, რომელიც თელავში იყო გადასახლებული პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ და ტფილისში ნება დაურთველად ჩამოვიდა.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** კრება დღეს მოხდება. განსახილველი აქვს 13 საქმე; მათ შორის, საკითხი ტფილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ.

### სასამართლო

✦ **ტფ. ოლქის სასამართლოს** სესია 22 ოქტომბერს ახ. ქალაქს გაემგზავრა.

### ქუთაისი

✦ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შ. შარაშიძემ შუამდგომლობა აღძრა—გამოსცეს ქუთაისში **ყოველ კვირეული ჟურნალი „ჩვენი თეატრი“.**

✦ ტფილისიდან საცენზურო კომიტეტს უცნობებია **მ. ქორელისათვის**—იმ სახით ალმანახის გამოცემა, რა სახითაც თქვენ სცემთ აკრძალულიაო.

✦ ჩიბათიდან (გურია) „იმერეთს“ ატყობინებენ: აქაურ პირველ დაწყებით სკოლაში ქართულის არ მცოდნე რუსი მასწავლებელი გერასიმოვი დანიშნესო. მოწაფეებს მასწავლებლის არაფერი ესმით და მასწავლებელს მოწაფეებისაო.

✦ ასეთივე ცნობა სუფსიდანაც მოსულიათ, სადაც რუსი მასწავლებელი ქალი დაუნიშნავთ.

✦ ამ ახლო ხანში **ნ. ნიკოლაძის მონაწილეობით** ფოთში რუსულ ენაზე ყოველ-დღიური გაზეთი „რიონი“ გამოვა.

✦ ნამესტნიკის განკარგულებით **კავკასიიდან გადაასახლეს** ფოთში მცხოვრები: გოგვაძე, მარშანია, იმნაიშვილი, კაზირია და წულაია.

✦ 21 ოქტომბერს ყვირილის სამაზრო სატუსაღოდან ქუთაისში ჩამოიყვანეს და საგუბერნიო სატუსაღოში მოათავსეს ამას წინად სოფ. ლელევეთში დაჭრილი შალვა ჩიქვინიძე. მას შარშან სატუსაღოდან გაქცევა ბრალდება.

✦ 22 ოქტომბერს, ზუგდიდის სამაზრო სატუსაღოდან ქუთაისში ეტაპით 40 პატიმარი ჩამოიყვანეს და ყველა საგუბერნიო სატუსაღოში მოათავსეს.

✦ ქუთაისის სატუსაღოს განცხადების ძალით, პატიმართა ნახვის მოწმობის მიღება მხოლოდ დილის 11 საათიდან პირველ საათამდეა.

✦ 21 ოქტომბერს, საგ. სატუსაღოს ექიმმა ხუნდაძემ სატუსაღოში წაიკითხა ლექცია: „ქლექთან ბრძოლა. („იმერეთი“).

### გორი

✦ ოც და ერთ ამ თვეს მოხდა კრება „გორის ქართველ გამომცემელ ამხანაგობის“ წევრთა. კრებამ ერთ ხმად დაადგინა: მიეცეს გამგეობას ნება სესხი აიღოს და დაუყოვნებლივ შეუდგეს სტამბის მოწყობას.

ამავე კრებაზე გადასწყდა მომავალ იანვრიდან გადიდებულ იქმნას გაზეთის ფორმატი, კვირაში ისევ სამჯერ გამოიცეს და ფასად დაედოს წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით სამი მანეთი, ხოლო ნომრობით თითო შაური. ამასთანავე კრებამ დაადგინა ყოველივე ღონე იღონოს გაზეთის ყოველ დღიურად გარდაქმნისათვის, მოიწვიოს თანამშრომლები, როცა სტამბის საქმე მოეწყობა და მოაწყოს აგენტურა უფრო კარგად.

✦ შაბათს, 27 ამა ოქტომბერს, გორის საზოგადო საკრებულოს დარბაზში ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას განყოფილება ჰმართავს **ილიას სახსოვრად სალიტერატურო საღამოს.** იმედია საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს და დაესწრობა ამ სიმპატიურ საღამოს.

(„ქართლი“)

### სიღნაღი

✦ 10 ოქტომბერს, ბოქაულმა გაჩხრიკა მეოთხე სახ. სათათბიროს ამომრჩეველ ს. ლელიანის მცხოვრები ბაგრატ ჭუმბურიძე. წაიღეს 35 სხვა და სხვა წიგნაკები და ხელთნაწერები.

✦ 8 ოქტომბერს, როდესაც გლეხი ვლადიმერ ბრეგვაძე მიდიოდა. ს. ყვარელიდან, წინ დახვდნენ შეიარაღებული ბოროტ-გამზრახველნი და წაართვეს 18 მან. 75 კაპ.

### ბაქო

✦ გუშინ ამურ-ადეს კუნძულიდან მოვიდა სამხედრო გემი „არდაგანი“, სამხედრო ნავთსადგორში გარჩერდა.

### სოფლად

✦ **ს. ბრეთი** (ქართლი) 14 ოქტომბერს მარუსია ავალიშვილის თაოსნობით მისივე სახლში ს. ბრეთში. საღამოს 7 საათზე მოხდა კრება, რომელსაც დაესწრო ადგილობრივი აგრონომი ბ. ე. კარბელაშვილი და ინტელიგენცია ამავე და გარეშე სოფლებიდან ბ. კარბელაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა სასოფლო სამეურნეო ამხანაგობის მოწყობის თაობაზე; წაკითხულ იქნა. წესდება ამხანაგობისა. ხმის უმეტესობით **გადასწყვიტეს დაარსონ** სოფელ ბრეთში სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა კოოპერატიული ნიადაგზე. პაი მანათიანია. ამხანაგობა ეცდება შეიძინოს გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, ამ დღეებში ამის თაობაზე ბ. გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობას აღძრავენ. ხელის მოწერა გრძელდება. მოვუწოდებ საზოგადოებას მიიღოს მხედველობაში თავისი საკუთარი სარგებლობა და ნუ იტყვიან უარს, ამხანაგობის წევრობაზედ.

## ჟურნალისტის დღიური

93.

### წყვდიადი.

იმ დროს, როდესაც ჩვენ აქ უმაღლეს პოლიტიკასა და საკაცობრიო იდეალებზე ვლაპარაკობთ, სულ რამდენიმე ათეულს ვერსის მანძილზე ტფილისიდან ისეთი ამბები ჰხდება, რაც შორეულ ისტორიულ წარსულში თუ იყო წარმოსადგენი. მაგალითად სოფ. ნიჩბისიდან (სად. ქსნის მახლობლად) გვატყობინებენ, რანაირი პოპულიარობა მოუხვეჭია ერთს მკითხავს. მკითხავობა ეხლაც ძალიან არის გავრცელებული ჩვენში. აქა-იქ ჩნდებიან მკითხავები, ჩნდებიან ისეთი პირნიც, რომელთაც გულუბრყვილოდა სწამთ მათი მკითხაობა. მაგრამ ნიჩბისიდან სულ სხვანაირი ცნობები მოდის: სამკითხავოდ მოდიან შორეულ ადგილებიდანაც, მოდის დიდი და პატარა, ქალი და კაცი, გლეხი და აზნაური. მიდიან თურმე ისეთებიც კი, რომელთაც, გვგონია, უკვე უნდა ჰქონდეთ შეგნება, რომ მკითხავი მხოლოდ ისეთი ადამიანია, რომელსაც უმეცრები შეუძლიან შეიყვანოს შეცდომაში. თაღლითობს უსირცხვილოდ, ატყუებს ხალხს და ხმის ამომღები კი არავინ არის. ტფილისიდან ნიჩბისამდე სულ რამდენიმე საათის სავალია, და კულტურულ ცხოვრების ცენტრთან ასე ახლო მდებარე სოფელში გაუვალი წყვდიადი გამეფებულა. ვიცით, რომ ჩვენი სოფელი ჩვეულებრივად დაცარიელებულია, არავითარი ინტელიგენტური ძალა იქ არ იმყოფება, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, რომ იქ ან მღვდელი არ არის, ან აზნაურშვილები, ან ერთი ისეთი ადამიანი მაინც, რომ ამ დედა-კაცის თაღლითობა გამოაშკარავოს და საცოდავ გლეხ-კაცობას, დაბრმავებულსა და მოქანცულ დედაკაცის მახეში გაბმულს, თვალები აუხილოს?

თუ ნიჩბისში ერთი შეგნებული ადამიანი მაინც მოიპოვება, იმისი მოვალეობაა რაიმე ზომები მიიღოს და საზიზღრობას ბოლო მოუღოს.

**შინაური.**

## მეფის მოადგილე გრ. ვორონცოვ-დაშკოვის აზრი

### ქართველებსა და სომხებზე.

გუშინდელ ნომერში მოყვანილი იყო მეფის მოადგილის აზრი კავკასიის რეფორმების თაობაზე, რაც ოპოჩინინთან ბაასის დროს გამოუთქვამს. „ნოვოე-ვრემიაში“ მოყვანილია ვრცლად მეფის მოადგილის ნალაპარაკევი კავკასიის სხვა და სხვა საკითხის თაობაზე. სხვათა შორის ვორონცოვი ეხება ქართველ და სომეხ ერს და თავისებურადა ახასიათებს მათ. ვორონცოვი აქარწყლებს იმ აზრს ვითომც კავკასიის ერები სეპარატიზმით იყვნენ გატენთილიო.

იგი ამბობს: განა შეიძლება ეს ერები ჩვენი მტრები იყვნენ? განა საქართველო არა სცდილობდა მიჰკედლებულიყო ჩრდილოს ერთმორწმუნე დიად სახელმწიფოს, როდესაც საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე და დიდი განსაცდელი მოელოდა? განა ჩვენ ქართველებთან ერთად ხელჩართულნი არ ვიბრძოდით ჩვენი პოზიციების დასაცავად, ან და განა საქართველომ არ მოგვცა ჩვენ სახელგანთქმულნი სარდლები და გმირები კავკასიის ომის დროს? მართალია, ქართველ ხალხს მალე გაიტაცებს ხოლმე რაიმე. ეს სამხრეთის ცხოველი ტემპერამენტის ხალხიაო. მათი ისტორია—ეს განუწყვეტელი ბრძოლაა სარწმუნოებისა და ეროვნებისთვისო და სწორედ ამან შეიმუშავა ისეთი დამოუკიდებელი და გაბედული ტიპი, როგორიც ქართველია. რუსეთის მტრობის თაობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო, ქართველი ხალხი ჩვენი ძველი ისტორიულად ნაწრთობი მეგობარიაო. სოციალ-დემოკრატების თანაგრძნობა ქართველ გლეხობაში მხოლოდ წმინდა ეკონომიურ მიზეზით—მიწის სივიწროვით აიხსნება. გარდა ამისა ქუთაისის გუბერნია ის ადგილი იყო, საცა რუსის მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში რუსეთიდან ასახლებდა პოლიტიკურად—არაკეთილ საიმედო ხალხს. აი სწორედ ამისთვის სოციალიზმის მოძღვრება შეიჭრა იმერეთში და გურიაში რუსების გადმოსახლების წყალობითო. მაინცა და მაინც ქართველი სოციალ-დემოკრატები სეპარატისტები კი არ არიან, არამედ იმ პარტიის წარმომადგენელნი, რომელსაც სამოქმედო დირექტივები რუსეთის შუა გულიდან მოსდისო.

რაც შეეხება სომხებს, ეს მშვიდობიანი, სარწმუნოების ერთგული, ზნეობიანი, გონიერი და ფხიზელი ხალხია. სომხებს კარგადა აქვთ შეგნებული თუ რა მნიშვნელოვანია მათთვის ძლიერ რუსეთის მთავრობა კავკასიაში. რუსეთის ძალა კავკასიაში იცავს მათს საკუთრებას და შრომას, ხელს უწყობს მათს ეროვნულ ძალის გაფართოვებას, რაც ეგრე დაჩაგრული და დაჩრდილულია მუსულმანთა ქვეყნებშიო. სომხებიც მადლიერი მეგობრები არიან რუსეთისა, კავკასიაშიაც და მის ზღუდეთა იქითაცო.

## სასამართლო

### ლეკიშვილის ცოლის საქმე.

საოლქო სასამართლომ განიხილა ფრიად საყურადღებო საქმე. 1912 წ. 5 აპრილს ღამით, სოფელ წინარეხის დარაჯებმა მიხეილ მერაბაშვილმა და ივანე მირმანოშვილმა ს. კავთისხევის მამასახლისს აცნობეს, რომ წინარეხში ეკატერინე ივანეს ასულმა ლეკიშვილისამ თავის სახლში მოჰკლა კონსტანტინე მარჯანიძე. მამასახლისი არაქელოვი მაშინვე გაემგზავრა წინარეხისაკენ. ერთად ერთ ოთახში, შესავალ კარებთან, მიწაზე ეგდო მარჯანიძის გასისხლიანებული გვამი, აუარებელი ჭრილობებით. გვამი დახეულ პერანგის ამარა იყო. შარვალი შემოხეული ჰქონდა. გვამთან პატარა ხანჯალი ეგდო. ტახტზე უწესრიგოდ ქვეშსაგები ეყარა, მაზე სისხლი არ ეტყობოდა. ეკატერინე ლეკიშვილისას ხელები გასისხლიანებული ჰქონდა. როდესაც გამოჰკითხეს, უპასუხა:

— შუა ღამისას კარის რახუნმა გამაღვიძა. ოთახში შემოვიდა კონსტანტინე მარჯანიძე. ვკითხე, რა გინდა მეთქი? მარჯანიძემ მიპასუხა: „განა არ იცი, რისთვის მოვედიო?“. მიუხედავად ჩემის ხვეწნისა მარჯანიძე არ მიდიოდა, გაიხადა ტანთ და ტახტზე დაწვა. მე გარედ გასვლა დავაპირე, მაგრამ, ის წინ გადამეღობა და ტახტისაკენ მიმათრევდა. მაშინ მუთაქის ქვეშიდან ხანჯალი ამოვიღე და მუცელში ჩავეციო. ამის შემდეგ აღარა მახსოვს რა.

მეორე დღეს, 16 აპრილს, ახალქალაქის ბოქაულის თავ. ანდრონიკაშვილის გამოკითხვის დროს ქალმა იგივე განაცხადა:

როდესაც ლეკიშვილისა სამართალში მისცეს და გამოძიება სწარმოებდა, მან თავი დამნაშავედ იცნო მხოლოდ იმაში, რომ კაცი შემოაკვდა. მაგრამ სხვა გზა არა მქონდაო.

ამის მიხედვით ლეკიშვილისას, (25 წლისაა) ბრალად ედებოდა, რომ სოფ. წინარეხში (გორის მაზრა), 1912 წ. 15 აპრილს ღამით, ხანჯლით მრავალ ადგილას დასჭრა მარჯანიძე, რომელიც გარდაიცვალა. ეს დანაშაული ექვემდებარება სისხლის სამართლის დებულებათა მე-1455 კან. 1 მუხ.

ექვსი მოწმე [illegible]. ამ მოწმეებიდან თავადმა ანდრონიკაშვილმა და ყველამ დაამოწმეს, რომ ქალი კაცს არამც თუ არა ჰყვარობდა, არამედ ახლოსაც კი არ იცნობდაო. მოკლულის დედა და ცოლიც ბრალდებულს არასოდეს არ იხსენიებდნენ ცუდად. სოფელში სახელი გატეხილი არა აქვს; მოკლულს კი ცუდი სახელი ჰქონდა; ქალი დაყვირებით ვერას გახდებოდა, რადგანაც სახლი მოშორებით არის სოფლიდან და უკანა კედელი სოფლისაკენა აქვს.

თ. ანდრონიკაშვილმა დაამოწმა, რომ ტახტი სწორედ კარებთან იდგა და ქალს გარედ გავარდნა არ შეეძლოო.

მუხრანიდან მოსულმა მოწმეებმა დაამოწმეს, რომ მარჯანიძე მუხრანშიაც შეუვარდა სხვა ქალს და იქ ქალის ნათესავებმა ძლიერა სცემესო.

**ბრამდებელმა** აღნიშნა, რომ ქალს შეეძლო სხვა ზომები მიეღო, მკვლელობა წინად განზრახულის აზრით არის ჩადენილიო; ამიტომ კანონის სისრულეს ითხოვდა.

**დამცველმა ნ. ვ. თანაშემწემ შ. მესხიშვილმა** აღნიშნა: თუ ქალი იმ მდგომარეობაში ჩავარდა, რომ ხერხით უნდა მოეკლა კაცი, რათა განსაცდელი თავიდან აეშორებინა, აქ მხოლოდ თავის დაცვაა და არა განზრახ მკვლელობა. მიაქციეთ ყურადღება, რომ ლეკიშვილისას შეეძლო ეთქვა მოკვლას მემუქრებოდაო და ეს ძლიერ სასარგებლო იყო იმის გასამართლებლად, მაგრამ მან არა სთქვა ტყუილი, იგი მართალია. ამბობენ, რატომ არ დაიყვირაო? ჯერ ერთი, როგორც თითონ სთქვა, ბავშვებისა შეშინებია, მეორეც—კაცი კარებში იყო და არ უშვებდა. რა უნდა ექნა ქალს, როდესაც ღამის 12 საათზე გარყვნილი კაცი შეუვარდა და გაუპატიურებასა ლამობდა. თავის პატიოსნების დასაცველადაო. ყველა მოწმეები ამტკიცებენ, რომ ქალი ნამუსიანია და დამოკიდებულება მარჯანიძესთან არა ჰქონდაო. მაშ, რად უნდა მოეკლა. აქ ადგილი ჰქონდა თავის ნამუსის დაცვას, რაც აღნუსხულია კანონების 102 მუხლში.

საოლქო სასამართლომ ლეკიშვილისა უდანაშაულოდ სცნო და გაამართლა.

## „კავკასიელთა“ რაზმი.

ამ რამდენისამე ხნის წინად როგორც ტფილისში, ისე საქართველოს სხვა ქალაქებში დიდი მითქმამოთქმა გამოიწვია ცნობამ, მოსკოვში შესდგა „კავკასიელთა“ რაზი, რომელიც ბალკანეთის ბრძოლის ველზე მიდის სლავიანების დასახმარებლადო. „რუსკოე სლოვო“-ს 242 ნომერში დაბეჭდილია სოსნოვიციდან გამოგზავნილი სალამი, რომელსაც ხელს აწერენ შემდეგი ფრიად უცნაური კავკასიელნი: კლიმოვიჩი, პეტროვი, იუგერი, ვოლმიანი, ელანსკი, ბაგენგარდი, ნიკიფოროვი, ვატაევი, პისკუნოვი, ხრიაშჩევი, ლოტკინი, კარაბანოვი, მერკუშჩენკო, ხალკიენოვი, ბიჩკოვი, კუბარიოვი, ნეტიკსა, ტროიცკი, ივანოვი, ვიასოვი, გარბუნოვი, სკვარცოვი, სავატიანოვი.

როგორც ჰხედავთ, ამ „კავკასიელთა“ რაზმში არც ერთი ქართველი და სომეხი არ არის. მაშ, სადაური კავკასიელები არიან, ნეტავი!..

## ბალკანეთის ომი

### დეპეშები.

### ბულგარეთის მხრით.

**სოფია.** ბულგარებმა 19 ღვინობისთვეს აიღეს ნევროკოპი და გარაბუკი; ამით შესწყვიტეს ცნობათა გადაცემა მაკედონიასა და (მთავარ?) ლაშქარს შორის. 20 ღვინობისთვეს ოსმალები ბუნარ-გისარის მახლობლად იერიშით მივიდნენ ბულგარეთის ჯარის მარცხენა ფრთაზე. ბულგარებმა ოსმალეთის ჯარი უკუ აქციეს. ტყვედ შეიპყრეს 5 ოფიცერი და 1,300 ჯარის-კაცი. ოსმალებმა ლივლებურგასში დასტოვეს იარაღის საწყობი და საომარი სურსათი.

**სოფია.** ტყვეების სიტყვით, ოსმალეთის ჯარი შიმშილს ჲანიცდის. 3—4 დღის განმავლობაში თითო კაცზე ნახევარი პური მოდის. ბევრი ჯარის-კაცი ბულგარეთის ჯარში გადადის. 22 ღვინობისთვეს ფერდინანდ მეფემ დედოფალ ელეონორას თანადასწრებით ინახულა იამბოლში დაჭრილი მეომარნი.

**ჩორლუ.** ეს მეხუთე დღეა, რაც ლიულე-ბურგასთან ზარბაზნების სროლაა. ოსმალეთის ჯარი ცდილობს ჩორლუს და კარიშდირანუს გზები შეინარჩუნოს. დაჭრილებს ჩორლუში უყრიან თავს. კორესპონდენტები ღამეებს ცის ქვეშ უძილოდ ატარებენ.

### სერბიის მხრით.

**ბელგრადი.** პრიზრენის აღების დაწვრილებითი ცნობები. სერბიელებმა რომ ფერიზოვიჩი აიღეს, მესამე ლაშქრის ერთი ნაწილი პრიზრენისაკენ გაემართა. გზაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს სერბიელებს არნაუტებმა, მაგრამ ოთხი დღის ბრძოლის შემდეგ სერბიელებმა დაამარცხეს და უკუ აქციეს. პრიზრენის მცხოვრებნი ეროვნების განურჩევლად სერბიელებს ნებაყოფლობით დაჰნებდნენ.

**ბელგრადი.** პირველ ლაშქრის წინა რაზმები მიუახლოვდნენ გიუმენჯის სალონიკის მახლობლად. მესამე ლაშქრის ნაწილი მონასტრის მახლობლად იმყოფება. მისი აღება გადაწყვეტილია.

### საბერძნეთის მხრით.

**ათინა.** საბერძნეთის ჯარი, ბანიცადან ფლორინაში რომ მიდიოდა, შეეჯახა მოწინააღმდეგის აუარებელ ჯარს, რამაც აიძულა შეჩერებულიყო.

**ათინა.** ქალაქის თვით-მმართველობა ულრმეს მადლობას უძღვნის პეტერბურგის ქალაქის თვით-მმართველობას თანაგრძნობისთვის და უხვ შემოწირულებისთვის.

**ათინა.** გემმა „იერაკსმა", თავისუფლების დროშა რომ ააფრიალა 1891 წელს, 23 ღვინობასთვეს დაიჭირა კუნძული.

### ოსმალეთის მხრით

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა ნურადენგიანმა ინახულა ელჩები, და სთხოვა ომში ჩარევა. ელჩები ამის თაობაზე მოსალაპარაკებლად ითათბირებენ.

### არეულობის მოლოდინში.

**სტამბოლი.** ავსტრიის საელჩომ განკარგულება გასცა დაიხუროს ავსტრიის ყველა სასწავლებლები, და ავსტრიის ქვეშევრდომთ წინადადება მისცა გადასულიყვნენ გემ „ლოიდში". ეს განკარგულება გამოიწვია არეულობის შიშმა. დროებით სამხედრო მინისტრად დანიშნეს ახმედფეიზი-ფაშა, მემკვიდრე გენერლებით მიემგზავრება ჩატალჯაში.

**სტამბოლი.** მთავრობამ დაავალა ხოჯებს მეჩეთში ხალხს ზომიერების და მშვიდობიანობის დაცვა უქადაგონ.

### ოსმალების გამარჯვება.

**სტამბოლი.** დეპეშით იტყობინებიან, რომ პალოსის და ჩიმალის სიმაღლეები ოსმალებმა უკანვე დაიბრუნესო.

**სტამბოლი.** ოსმალეთის სააგენტო იუწყება, რომ ბულგარეთის ნავსადგურებზე მიტანილი იერიში შეჩერებულია. ყუმბარების სროლა შეწყვეტილია.

**სტამბოლი.** ოსმალების გამარჯვება, რასაც ნაზიმ-ფაშა იტყობინება მართალი არ გამოდგა. ბულგარებმა არამც თუ დაჭერილი პოზიციები დაიბრუნეს, არამედ კიდევ ახლები მიუმატეს, ჩორლუ და ჩერკესკიო.

**სტამბოლი.** ოსმალეთის ჯარი შეკრებილია ჩატალჯის პოზიციაში. მთავარი სასახლე იმყოფებოდა რკინის გზის სადგურზე ქადამკიოში. მარჯვენა ფრთის მდგომარეობის თაობაზე ადრიანოპოლში არავითარი ცნობაა. ქადემკიოსა და სანსტეფანოს შუა სივრცე წარმოადგენს სამხედრო ბანაკს. ოსმალეთის პატრიოტთა წრეში თითქმის სასოწარკვეთილებაა. ჩატლაჯის პოზიცია უკანასკნელი და სატახტო ქალაქამდის. ამისთვის მის გამაგრებას დიდ-ძალ ენერგიას ანდომებენ. ოსმალეთის ჯარში სურსათი საკმაო არ არის. ჯარს სულით დაცემა ეტყობა. მოიყვანეს 6000 დაჭრილი. შენობას ამზადებენ 50.000 კაცისთვის. ახალმა ელჩმა ვენაში ხილმი-ფაშას წინადადება მისცა ავსტრია-ჰუნგრეთს ოსმალეთთან შეთანხმებისა და ამის სამაგიეროს აღუთქვამდა სანჯაყის დათმობას და ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოებას. პრესის კილო შეიცვალა, ეხლა დამშვიდებულად აღნიშნავენ სახელმწიფოთა ჩარევის საქმეს. პრესას იმედი აქვს, რომ ევროპა არ დაივიწყებს ოსმალეთის მსოფლიო მნიშვნელობას—კუნძულების ფხიზელ ყარაულობას.

**სტამბოლი.** სამხედრო კორესპონდენტის ცნობით ჩატალჯაში ორი ბატალიონის მეტი არ იმყოფება. დანარჩენი ჯარი ბულგარებმა მოსწყვიტეს. ბულგარები 5 ვერსის მანძილზე იმყოფებიან ჩატალჯიდან. ნაზიმ-ფაშის მატარებელმა ერთის ფეხით გაასწრო ხადემკიოის, ბულგარებმა რომ აიღეს. ჯარი სულით დაცემულია. პური არ არის.

### ომი და სახელმწიფონი.

### ზავის საქმე.

**ლონდონი.** ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა: სანამ ოსმლეთს უპასუხებდეს, მოლაპარაკება გამართოს სხვა სახელმწიფოებთან. პუანკარეს წინადადება 3 მუხლ შეიცავს: 1. სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ პოლეტიკური და ადმინისტრატიული ცვლილება მომხდარი ბალკანეთის სახელმწიფოების ოლქებში. 2. სულთანის სუვერენიტეტის დაცვა სტამბოლში და მის რაიონში. 3. კონფერენციის მოწვევა ბალკანეთის სახელმწიფოების მონაწილეობით.

**ბერლინი.** ოსმალეთის ელჩმა, მთავრობის მინდობილობით გერმანიის მთავრობას სთხოვა ზავის საქმის მოგვარება.

**პარიზი.** ოსმალეთის ელჩმა მიჰმართა პუანკარეს იმ წინადადებით, რაც ნურალენგიანმა წარუდგინა საფრანგეთის ელჩს სტამბოლში. პუანკარემ ვერ მიიღო წინადადება, რადგანაც საფრანგეთის ნეიტრალი ირღვევაო.

**ბუხარესტი.** „ინდეპადანს-რუმენ" სწერს: საზონოვის დეკლარაციამ რუმინიაში მამულიშვილური გრძნობა გამოიწვიაო. განსაკუთრებულად დაკმაყოფილდა რუმინია, როდესაც საზონოვმა საერთაშორისო ხასიათი მისცა რუმინიის დიპლომატიას.

**ბერლინი.** გერმანიის სახელმწიფო მოლაპარაკებას გაჰმართავს დიდ სახელმწიფოებთან ბალკანეთის ომის მორიგების თაობაზე.

**პარიზი.** დიპლომატთა წრეში გაკვირვებას იწვევს ავსტრიის პრესის კილო პუანკარეს წინადადების გამო.

**ვენა.** „ფრემდენბლატი" სერბიის ჯარის დისციპლინას და სათნო მოპყრობას აღნიშნავს ტყვეებისადმი, რითიც სერბიელებმა საზღვარ-გარედ სიმპატია დაიმსახურეს.

**ლონდონი,** „ტაიმსი" სწერს: დადგა დრო, როდესაც უნდა მივიღოთ ბრძოლის შედეგიო. ბალკანეთი ბალკანეთის ხალხისთვის, აი როგორ ჰფიქრობს ინგლისის ხალხი ბალკანეთის ომის გამო.

**ვენა.** 22 ღვინობისთვეს ოსმალეთის ელჩმა გარეშე საქმეთა მინისტრს გადასცა წინადადება სახელმწიფოთა შუამდგომლობისა ბალკანეთის ომში.

**პარიზი.** ვენისა და ბერლინის ცნობებით სამ სახელმწიფოთა კავშირი შუამავლობის წინადადებას სასარგებლოდ სცნობენ.

**პარიზი.** „ტანი" მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ავსტრიამ პუანკარეს წინადადება არ მიიღოო. დიდად მოსალოდნელიაო, სწერს „ტანი", თუ ბალკანეთის სახელმწიფონი შევიწროვებულნი იქნებიან, ავსტრიისაგან ხსნა და შველა სამთა კავშირისაგან მიიღოსო.

## ხავერდის ხმა

მიტომ გეტრფი, და თავს გხურავ გრძნობით გრძნობის საბურველსა,—
რომ მაგონებ ჩემს საყვარელს, სატრფიალოს, სასურველსა!..

შენც მასავით ყელყელაობ, როს კისერი დაგაქვს განზე,
შენც ბრძანებლობ—ქალთა მეფევ!—ტბის ღრუბელთა ტახტრევანზე;

შენც მასავით ნისლის თმებმა თვით შენ დაგწვა, გაგანაბა,
შენც მასავით მოქნილ ტანზე დაგხვევია გველის კაბა;

შენც... შენც მეთქი! ტუჩს კონად ჰკრავ, ტუჩს ემბაზში ამონაკრთობს,
შენც ხავერდის ხმებს ასხურებ ცის ჩირაღდან – ხეცის—მნათობს..

მიტომ გეტრფი სიზმარშიაც—შორეულსა, არ ნახულსას
რომ მაგონებ ჩემ საყვარელს—ყოფილ სატრფოს დამარხულსა!..

**ი. გრიშაშვილი.**

### გაზეთებიდან.

### მეომართა მდგომარეობა.

მას შემდეგ, რაც კირკილისეს ციხესთან სასტიკად დამარცხდა ოსმალთა მთავარი ჯარის მარჯვენა ფრთა და ადრიანოპოლის გამაგრებული ბანაკი მოსწყდა ოსმალთა სტრატეგიულ პუნქტებს, ბულგართს ძლევა-მოსილი ჯარი ამოსუნთქვის დროს აღარ აძლევს დამარცხებულთ. კირკილისეს აღების შემდეგ ეგრედწოდებული იამბოლის ლაშქარი, დაახლოებით 80.000 კაცი, და ნაწილი ადრიანოპოლის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარისა, რიცხვით 60.000 ხიშტი, კვალ და კვალ მისდევს ოსმალთა უკუქცეულ ჯარს. დეპეშამ ცნობა მოიტანა, რომ ბულგართა უმთავრესი ჯარი გენ. დიმიტრიევის მეთაურობით მდ. ერგენეს ნაპირებზე შეება მტერს და სასტიკად დაამარცხაო. კონსტანტინოპოლიდან მოსული ცნობების მიხედვით უნდა ვიფიქროთ რომ ოსმალთა მთავარ სარდალმა ნაზიმ-ფაშამ შესძლო თვისი დამარცხებული ჯარის შეგროვება და მდ. ჩორლუს ნაპირებზე გამაგრებით თვით განიზრახა იერიშის მიტანა. ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროს იგი ალბად პოლიტიკური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რათა აღედგინა ოსმალეთის სამხედრო პრესტიჟი და თან სულის მხნეობა განეღვიძებია სასოდაკარგულ ჯარში, შესაძლებელია აგრედვე, რომ მას იმედი ჰქონდა თვისი ჯარის რიცხვმრავლობისა მტრის ჯართან შედარებით, რადგან ბულგარების სამოძრაო ასპარეზი მეტად გაჭიმული იყო (თითქმის ას ვერსზე) და ამიტომ ადვილი შესაძლებელი იყო მათი იერიშის ჯაჭვის გაწყვეტა. უმთავრესი ბრძოლა ქ. ლულე-ბურგასთან მოხდა, რომელიც ბულგართა იერიშის ცენტრს შეადგენდა. ეს ქალაქი სალონიკ—სტამბოლის რკინის გზის ახლოს მდებარეობს და მისი აღება მითაა მნიშვნელოვანი, რომ გამარჯვებულთა წინსვლის ჩატლანჯის სიმაგრეებამდე, რომელიც სატახტო ქალაქის უკანასკნელ საფარს წარმოადგენს, ვერაფერი შეაყენებს. ლულე-ბურგასი, რომელიც უკვე 15 ოქტომბერს დაიკავა ბულგარების მოწინავე რაზმმა ცხარე ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა დაიბრუნეს და მხოლოდ რამდენიმე დღის წინად ამ დიდი ბრძოლისა ისევ წართვა მათ გენ. დიმიტრიევმა. ამრიგად სწორედ ამ ადგილას შეხვდა ერთმანეთს ორი დიდი ჯარი. ძველი ე. ი. 7—8 დღის წინად არსებულ დისპოზიციის მიხედვით, ბულგარების მხრით აქ უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 140.000 კაცისა, ოსმალთა მხრით კი თითქმის 170.000. ნაზიმ-ფაშის ჯარი, როგორც ეტყობა მხნედ დაეტაკა ბულგართა მარცხენა ფრთას, რომელიც ქ. ვიზას ემყარებოდა და დროებით შეაჩერა მისი მსვლელობა, რადგან ოსმალებს ამ ადგილებში ხელს უწყობდა მთაგორიანი მდებარეობა. სამაგიეროდ გენ. დიმიტრიევის ჯარის მარჯვენა ფრთა, რომელსაც შუბლი აღმოსავლეთისკენ ჰქონდა გაორკეცებული ძლიერებით ეკვეთა ოსმალთა მარცხენა ფრთას მარმარილოს ზღვასა მდ. ჩორლუს შუა და ბრწყინვალედ გაიმარჯვა. თუმცა ზღვის ნაპირის ქალაქის, როდოსტოს დაჭერა ბულგართა ცხენოსნების მიერ არც ისე მტკიცე გამოდგა, მაგრამ, როდესაც ბულგარებმა გასწყვიტეს ოსმალთა საომარი ჯაჭვი და მდ. ჩორლუს გაღმა გავიდნენ, ამ უკანასკნელთა მდგომარეობა მეტად საშიში შეიქმნა: პოზიციის ცენტრს ერთსა და იმავე დროს ორი მხრიდან ემუქრებოდა თავდასხმა—შუბლიდან და, მარცხენა ფრთის მოჰრით, ზურგიდან. თითქოს არის კიდეც ცნობა, რომ ბულგარეთის ცხენოსნებმა მოვლური მოახერხეს და სადგურ „ჩერქეზკიოისთან" გამოჩნდნენ ჩორლუს იქით 20 ვერსის მანძილზეო. თუ ეს გამართლდა ოსმალეთის ჯარს მხოლოდ ერთად-ერთი საშუალება დარჩენია—იარაღის დაყრა და ტყვედ წაყვანა. ასეთი მდგომარეობაა თრაკიის საომარ ასპარეზზე. რაც შეეხება მაკედონიას, სადაც ზექი-ფაშის ჯარის წინააღმდეგ სერბია-ჩერნოგორია-საბერძნეთის შეერთებული ლაშქარი იბრძვის, აქ უკვე გამორკვეულია მოპირდაპირეთა პოზიციები და მათი მნიშვნელობა. დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვების მთელ რიგთა შემდეგ ოსმალთა დასავლეთის ანუ მაკედონიის ლაშქარი თითქმის აღარ არსებობს. ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენილა დარჩა რიცხვით ეს ჯარი და ან ვინ ხელმძღვანელობს მას, ჩვენ არ ვიცით. თუ დავუჯერებთ უცხოეთის პრესის მოსაზრებას, ამ ჯარის მთავარ-სარდალს მაჰმუდ-შევქეთს ჰყავს: ერთი მფრინავი რაზმი, რომელშიც შედის მე-13 დივიზია (სალონიკისა), და მე 15 (სტუმიცისა), აგრედვე მე-3 დივიზია, რომელიც სტრუმის ხეობაში მოქმედებს და ორი დივიზიაც მეორე ხარისხოვან სათადარიგო ჯარისა—სულ 38.000 კაცი. ამ რაზმს მეთაურობს ყარა-სეიდი. უმთავრესი ლაშქარი, რომელსაც ზექი-ფაშა მეთაურობს, შესდგება: მე-6 კორპუსისაგან, აქედან მე—17 და მე-18 დივიზია პირველად კეპრულში (ველესი) იდგა და შემდეგ ქ. შტიპის საშველად დაიძრა; მე 7 კორპუსისაგან, რომლის მე-19 და 21 დივიზია უსკიუბსა და დიაკოვოში იყო დაბანაკებული, აგრედვე მაკედონიის სამხედრო ოლქების მთელი სათადარიგონი, ანუ რედიფერი, აქვე იყვნენ თავმოყრილი. საერთო რიცხვით, ამ რაზმში უნდა ყოფილიყო 10 დივიზია (100 ბატალიონი ანუ 100.000 ხიშტი და ხმალი). დასასრულ ფერიქ—თევფიქს ჰყავდა კიდევ პრიშტინის მიდამოებში 30.000 კაცი, მაგრამ ეს რაზმი დღეს თითქმის აღარც კი უნდა არსებობდეს ამდენ ბრძოლის შემდეგ. ამრიგად სერბიელების წინააღმდეგ სდგას მხოლოდ ნაწილი და, ისიც ნირშეცვლილი, ოსმალთა მაკედონიის ჯარისა. უსკიუბისა და შტიპის დივიზიები ანგარიშში მისაღები თითქმის არაა, რადგან იგინი კუმანოვის ბრძოლაში ან გაწყდნენ, ან ტყვედ ჩაუვარდნენ მტერს. ასე რომ, ამ მიდამოებში გადამწყვეტი ბრძოლის დროს მაჰმუდ-შეფქეთს შეუძლიან გამოიყვანოს არა უმეტეს 66—70 ათასი კაცისა. მათ წინააღმდეგ მოდის სერბიელების სამი რაზმი: პირველი (მემკვიდრე ალექსანდრესი) მდ. მორავის ხეობაში. 4 დივიზია (16 ბატალიონი ანუ 17.000 კაცი), ორი დივიზიაც სათადარიგონი (12 ბატალიონი ანუ 12.000 კაცი) სულ—29.000 ხიშტი. მეორე—ეგრი-პალანკის რაიონში—სამი დივიზია მეორე ხარისხის სათადარიგოთა ანუ 36.000 კაცი, რომელსაც მეთაურობს გენ. სტეფანოვიჩი.

მესამე—ძველ სერბიაში—2 დივიზია მესამე რიგის სათადარიგოთა ანუ 18.000 კაცი გენ. იანკოვიჩის უფროსობით; დასასრულ ბულგართა დამხმარე (მეორე) ჯარი, რომელიც კუსტენდილიდან დაიძრა და კოჩანის ბრძოლის შემდეგ შეუერთდა სერბიის მთავარ ლაშქარს. თუმცა მოკავშირეთა ძალა რიცხვით აგრე რიგად ჭარბი არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ოსმალთა ჯარის მეთაურებს არევა და უმოქმედობა ემჩნევათ, რაც დიდად უადვილებს საქმეს მათ მოწინააღმდეგეებს. მაკედონიის ცენტრი და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქალაქი უსკიუბი თითქმის უბრძოლველად დაჰნებდა მოკავშირეებს და მათი ძლევამოსილი ლაშქარი დაუბრკოლებლად მისწრაფის სამხრეთით სალონიკასაკენ, რომელსაც მეორე მხრიდან ზურგიდან ემუქრება ბერძნების ჯარი. ზექი-ფაშას მეტი აღარა დარჩენია რა, რომ საჩქაროდ შეიყვანოს სალონიკში თვისი ჯარის გაბნეული ნაწილები და აქ ელოდეს მოკავშირეთა შეერთებულ ჯარის დახვედრას. ყოველ შემთხვევაში, როგორიც უნდა იყოს ამ უკანასკნელი შებმის შედეგი, იგი ვერ შესცვლის მაკედონიის საომარ ასპარეზის სახეს, რადგან ომი ამ მიდამოებში სტრატეგიულად უკვე გათავებულია.

**ავსტრიის პოლიტიკა ბალკანეთზე.** ამ უკანასკნელ დროს ავსტრიის პრესა უკვე აღარ ლაპარაკობს ოსმალეთის ხელშეუხებლობაზე ისეთი დაჟინებით, როგორც წინად. უეცრად ფრონტის გამოცვლას გარეშე საქმეთა მინისტრის გავლენას აბრალებენ. ახლა უკვე ირკვევა თუ როგორი თვალით უცქერენ ავსტრიის დიპლომატები „სტატუს ქვოს" უარყოფის საკითხს. როდესაც ავსტრია დასათანხმდა პუანკარეს წინადადებას ომის ლოკალიზაციის შესახებ, იგი საფრანგეთისაგან შემუშავებულსა და რუსეთის მიერ დადასტურებულ ფორმულას ისე უცქერდა, თითქოს ამ უკანასკნელთ ჰაბსბურგის მონარქიის წინაშე ალთქმა დაედოთ, რომ ბალკანეთის არსებული ძალთა-განწყობილება არ შეიცვლებაო. მხოლოდ ამ მოსაზრებით ერიდებოდა იგი თვისი უფლების განცხადებას, როგორც ბალკანეთის მეზობელი სამეფო, მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიას იმდენივე უფლება აქვს ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე, რამდენიც მაგ. საფრანგეთს მაროკოზე. ამიტომა ბალკანეთის კავშირის გამარჯვებას ავსტრია შემდეგი ღონისძიებით გაუწევს ანგარიშს: თუ სახელმწიფოები მომავალშიც უზრუნველჰყოფენ „სტატუს ქვოს" დაურღვევლობას, ავსტრიის დიპლომატია ტყუილ-უბრალოდ არ გამოიცვლის ნირს; ხოლო თუ კი ბალკანეთის სახელმწიფოები ოფიციალურად განაცხადებენ, რომ იარაღით დაპყრობილი ქვეყნები ჩვენს სამუდამო სამფლობელოდ უნდა დარჩესო და ევროპა ვერას გააწყობს მათთან, მაშინ ავსტრიას ვეღარ შეიკავებს ჰუანკარეს ფორმულა და ვენის კაბინეთი ევროპის საერთო პოლიტიკის მაგიერ ავსტრიის განსაკუთრებულ ინტერესების პოლიტიკას დაადგება. ავსტრია განაცხადებს მაშინ, რომ მას ბრალი არ აქვს ბალკანეთის „სტატუს ქვოს" დარღვევის საქმეში, რადგან საკუთარი ინტერესების დაცვა ავალებს მას ამ გვარი პოლიტიკის წარმოებას. რაც შეეხება მოთხოვნილებათ, რომელსაც ავსტრია წამოაყენებს მაშინ, ჯერ არვინ იცის მათი შინაარსი. აღსანიშნავია აგრედვე ის გარემოება, რომ თუ დღემდი ავსტრია თითქოს გულგრილად ეკიდებოდა ნოვობაზარის სანჯაკის დაკავებას, ეს მხოლოდ დროებითი ტაქტიკური მოსაზრებით იყო გამოწვეული. ახლო მომავალში, შეიძლება პარიზში შემუშავებულ, ომში ჩარევის ფორმულის განხილვის დროსაც, ავსტრიამ ენა ამოიდგას და თუ მისი ინტერესები მხედველობაში არ იქნება მიღებული, ჰაბსბურგების სამეფო აქტიურად ჩაერევა ბალკანეთის საქმეებში.

### საბერძნეთის მხრით.

### ოსმალეთის ჯავშნოსნის დაღუპვა.

„ოტომანის სააგენტოს" სალონიკიდან ატყობინებენ: გუშინ, შუადამისას, საბერძნეთის ნაღმოსანი № 12 შეუმჩნევლად შეცურდა სალონიკის ნავთ-სადგურში და ზედი-ზედ ესროლა ორი ნაღმი ოსმალეთის ჯავშნოსანს „ფეთხი-ბულენს", რის შემდეგაც გემი ხუთი წუთის განმავლობაში ჩაიძირა.

„ფეხთი-ბულენის" კამანდირი ატყობინებს მთავრობას: საბერძნეთის ნაღმოსანი უეცრად შემოიჭრა ნავთსადგურში და ორი ნაღმი ჰკრა ჯავშნოსან „ფეთხი-ბულენს". გემს წყალი შეუდგა, მანქანების განყოფილებაში ქვაბი გასკდა. გემის ეკიპაჟი, რომლის უმრავლესობაც ნაპირზე იყო, გადარჩა.

### დარდანელის ალყა.

ადესიდან იტყობინებიან: გუშინ საბერძნეთის ფლოტმა ფაქტიურად დაიწყო დარდანელის ალყა; იგი თაზოსის, იმბროსის და სამოთრაკიის დაპყრობილ კუნძულებთან სდგას.

### ინგლისი და კუნძ. თაზოსი.

ამბობენ, ინგლისი პროტესტს განაცხადებს ბერძნების მიერ კუნძ. თაზოსის დაპყრობის წინააღმდეგ, რადგან იგი ეგვიპტეს ეკუთვნის, როგორც სულთნისაგან ქედივისთვის 1840 წელს ნაჩუქარიო.

### ოსმალთა დიდი დამარცხება.

ვენიდან იტყობინებიან: ოსმალები სასტიკად დამარცხდნენ ქ. ჩორლუსთან. ოსმალთა უმთავრესი ბანაკი ჩატლაჯის სიმაგრეში გადაიტანეს.

### დაწვრილებითი ცნობები.

„რეიხშპოსტს" დეპეშით ატყობინებენ: ოსმალთა აღმოსავლეთის ჯარის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლის დროს ბულგარებმა მთელი თვისი ჯარი შემოიკრიბეს. ლულე-ბურგასის ბრძოლაში 230,000 კაცი იღებდა მონაწილეობას. ბულგარების შტაბის პირვანდელი გეგმა შეიცვალა, რადგან ოსმალებმა დასტოვეს ბაბა-ესკი. ანატოლიის მამაცი რედიფები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ტყიან ადგილებში, მაგამაგრამ მაინც ვერ შესძლეს ბულგარების იერიშის შეჩერება, რომელთაც მუდამ ახალ-ახალი დამხმარე ჯარი მოსდიოდათ. ამ ადგილებში გასწყდა ოსმალთა ჯარის ჯაჭვი და იგი უთავბოლოდ უკუ იქცა. განმეორდა იგივე, რაც კირკილისესთან მოხდა: პირველად მტკიცე იერიში, შემდეგ კი უეცარი შიში და გაქცევა. ერთი კორპუსი და 4 დივიზია სრულიად განადგურდა. მეორე ფრთაზე, ლულე-ბურგასთან, ოსმალები პირველად სიმაგრეებიდან იგერებდნენ მტერს. მათ წინააღმდეგ ბულგარებმა მძლავრი არტილერია მომართეს და გვერდიდან სასტიკი სროლა გააჩაღეს; შემდეგ ბულგართა ქვეითი ჯარი უმაგალითო სიმტკიცით ეკვეთა ოსმალების ჯარს და უთავბოლოდ გააქცია. ოსმალთა დამარცხება სრულია. ჰფიქრობენ, რომ ჩატალჯის ციხეც მალე დაემხობა. არ იციან, რა ბედი ეწვია თვით მთავარ-სარდალს ნაზიმ-ფაშას. ერთი ცნობით, იგი მოჰკლეს ან თვით მოიკლა თავი, მეორეთი კი —ტყვედ ჩაუვარდა ბულგარებს, რომელთაც დიდ-ძალი სამხედრო ალაფი დარჩათ.

### სერბიის მხრით.

### სერბიის ჯარის მოქმედება.

ოფიციალურად იუწყებიან, რომ სერბიის მესამე ჯარმა კოსოვოს ველი გაიარა და მცირე ბრძოლის შემდეგ აიღო ქ. პრიზრენი. ჰფიქრობენ, რომ ქ. პრილეპიც მალე დანებდება მათ, რადგან ველესიდან გაქცეული ოსმალნი ბიტოლიისაკენ იხევენ.

### ომი და სახელმწიფოები.

### ავსტრია და სერბია.

ვენიდან იუწყებიან: ახლად დანიშნული სერბიის ელჩი იოვანოვიჩი ამ დღეებში მოვა სპეციალური მისიით სერბიისა და ავსტრიის ინტერესთა შესათანხმებლად. ავსტრიის წარჩინებულ დიპლომატს უთქვამს, რომ ავსტრიამ საბოლოოდ მიატოვა აზრი ნოვობაზარის სანჯაკის დაპყრობისა. ახლა იგი სხვაგან ეძებს კომპენსაციას. ხმებია, ასეთ კომპენსაციას იგი ალბანეთში მიიღებსო.

### ავსტრიის ფლოტი.

„რუსსკოე სლოვოს" ვენიდან ატყობინებენ: სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ ავსტრიის ფლოტი მზად არის ალბანეთის სანაპიროებისაკენ წასასვლელად; თუ სერბიის ჯარი შიდა ალბანეთში შეიჭრება, ესკადრა [illegible] ნაპირებს მიადგება.

### ოსმალეთი თავზარ დაცემულია.

პარიზიდან იუწყებიან, რომ ქიამილ-ფაშამ თხოვნით მიმართა პუანკარეს, დაიხსნა ოსმალეთი დაღუპვისაგან და მოახერხე ევროპის ჩარევა ომის საქმეში. კონსტანტინოპოლიდან მოსულ ცნობით, სულთანი ძველი სერალის მეჩეთში ლოცულობს წინასწარმეტყველის წამოსასხამის წინაშე. ოსმალეთის პრესა ერთხმად აღიარებს, რომ ასეთი საშინელი ხანა ისლამს ჯერ არ უნახავსო.

### ზავისკენ.

„ბერლინ. ტაგებლატს" კონსტანტინოპოლიდან შიფრიანი დეპეშა მიუღია, რომლითაც იტყობინებიან, რომ ოსმალეთი ზავის ჩამოგდებას მოითხოვს ამ დღეებში.

### რუსის დიპლომატის აზრი.

„რუსკოე სლოვოს" ცნობით რუსეთის ერთ გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს: ადვილად შესაძლებელია, რომ მდ. ერგენესთან ბრძოლის შემდეგ სახელმწიფოები ომში ჩაერიონ ზავის ჩამოსაგდებად. ბალკანეთის მოკავშირენი ომისაგან სარგებლობის მაქსიმუმს მიიღებენ, თუ ერგენესთან გამარჯვებისთანავე დაიწყებენ სამშვიდობო მოლაპარაკებას, რადგან კიდეცაც რომ აიღონ კონსტანტინოპოლი, ამით მაინც არ გადიდდება ის ჯილდო, რომელსაც იგინი ელიან. ამრიგად ევროპის ჩარევა შემდეგს დადებით ნაყოფს მოუტანს ბალკანეთის სახელმწიფოებს:

1) კავშირი დიდი გამარჯვების შემდეგ შეჰკრავს ზავს ხელშეკრულობას, რომელზედაც, უეჭველია, გავლენას იქონიებს მათი ბრწყინვალე სამხედრო მძლეობა.

2) ამ გამარჯვების შემდეგ იგინი მიიღებენ თავის მოთხოვნილებათა მაქსიმუმს, რაც ევროპის სახელმწიფოებისაგან წინააღმდეგობის მინიმუმს გამოიწვევს.

3) ბულგარეთს აღარ დასჭირდება ერთხელ კიდევ გამოცდა თვისი იარაღის მძლეობისა ჩატალჯის ბრძოლაში.

დასასრულ მეოთხეც ისა, რომ ერგენეს ბრძოლის შემდეგ ზავის ჩამოგდება თავიდან ააშორებდა ევროპას სერიოზულ უთანხმოების შესაძლებლობას, რომელიც ომის გაგრძელების დროს უეჭველად იჩენს თავს.

### საფრანგეთის შუამდგომლობა.

პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ ზავის ჩამოგდებას საფრანგეთი ითავებს, რადგან ევროპის სახელმწიფოთა შორის იგი ყველაზე ნაკლებად არის დაინტერესებული ბალკანეთის საკითხში. პარიზსა და პეტერბურგს შორის უკვე სწარმოებს ამის შესახებ მოლაპარაკება.

### მოკავშირეთა სიმტკიცე.

ბალკანეთის კავშირის ერთს გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს „უტრო როსიის" კორესპონდენტისათვის: ბალკანეთის კავშირი მხოლოდ პირდაპირ ოსმალეთთან დაიწყებს ზავის შესახებ მოლაპარაკებას. ევროპის ჩარევა ან შუამდგომლობა მხოლოდ მაშინ გამოიღებს ნაყოფს, თუ სახელმწიფოები უზრუნველჰყოფენ ჩვენი გამარჯვების შედეგს, რადგან ჩვენი მთავრობანი იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ თავის ხალხთა სურვილს, რომელთაც ამდენი მსხვერპლი შესწირეს თავისუფლების მოპოვებას.

## სხვა და სხვა ამბავი

### ნ. ი. გუჩკოვი

ქალაქ მოსკოვის მოურავმა გუჩკოვმა, „მოსკოვსკი გაზეთის" თანამშრომელს უთხრა, რომ ქალაქის მოურავობის კანდიდატურაზე უარს ვაცხადებო.

### სინოდში.

17 ღვინობისთვეს სინოდის სხდომაზე განიხილეს საკითხი, რამდენად სასურველია ეპისკოპოზის კანდიდატები მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში? [illegible] მიტროპოლიტმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რითაც იგი ამტკიცებდა, რომ სამღვდელოების ჩარევა პოლიტიკაში არა სასურველიაო. სინოდი დასთანხმდა ანტონის სიტყვას მხოლოდ ერთ დებულებას, რომ დიდი რიცხვი მღვდელ დეპუტატებისა სათათბიროში საჭირო არ არისო. ამისათვის კანდიდატურა ეპისკოპოზ ნიკონისა და ანტოლიისა უარჰყვეს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

### საზღვარ-გარეთ

24 ოქტომბერი.

**ბერლინი.** იმპერატორმა უბოძა სან-ჯულიანოს „შავი არწივის“ ორდენი.

**პარიზი.** გარდაიცვალა სამედიცინო აკადემიის ყოფილი პროფესორი ციონი.

**ბუდაპეშტი.** გაიხსნა ჰუნგრეთის დელეგაციის სხდომები. პრეზიდენტად აირჩიეს გრაფი ზიჩი.

სხდომამ წყნარად ჩაიარა, რადგანაც ოპოზიცია არ დაესწრო სხდომას.

### რ უ ს ე თ ი

**მემკვიდრის ავადმყოფობა.**

**პეტერბურგი.** მემკვიდრის ავადმყოფობის ბიულეტენი, 23 ღვინობისთვე, საღამოს 7 საათი. დღე კარგად გაატარა, მადა უკეთდება, სიცხე დილით 37,0 გრ., დღისით 37,1 გრ., საღამოთი 37,3; მაჯის ცემა 118.

### ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი

**პეტერბურგი.** არჩეულია ჯერჯერობით სახელმწიფო სათათბიროს 288 დეპუტატი. ამათში მემარჯვენე 110, ზომიერი მემარჯვენე 11, ნაციონალისტი 33, ოქტომბრისტი 59, პროგრესისტი 12, კადეტი 31, შრომის ჯგუფი 1, სოციალ-დემოკრატი 6, მემარცხნე 6, პოლ. კოლოს წევრი 6, ნაროდოვცევი 4, პოლ.-ლიტოვ-ბელორუს. ჯგუფის წევრი 3, ლიტველ-ნაციონალ-დემოკრატები 1, მუსულმანის ფრაქციის წევრი 3, უპარტიო 2.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დღეს, 25 ოქტომბერს 1912 წ. ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი ორიგინალური პიესა **„ოჯახი“ იოსებ გედევანიშვილისა.** პიესის სიუჟეტად აღებულია მოძრაობის დროის ახალი თაობა. „მსხვერპლის“ ავტორი ამ პიესაში ეხება იმ საკითხს, თუ რა გავლენა იქონია მოძრაობამ შეგირდებზე. პიესასა სდგამს ვალ. შალიკაშვილი. მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ტ. აბაშიძე, ქ-ნი გოგოლაშვილი, ქ-ნი შოთაძე, ქ-ნი ჯავახიშვილი; ბ-ნი ვალ. გუნია, კ. ძესხი, გედევანოვი და სხვანი.

**კოტე ფოცხვერაშვილის კონცერტი.**

ახალგაზდა კომპოზიტორის—კოტე ფოცხვერაშვილის ქართული კონცერტი, რომელიც გამართული იყო ქართულ თეატრში შაბათს, 20 ღვინობისთვეს — მშვენივრად ჩაიარა. ხორომ და ორკესტრმა საუცხოოდ შეასრულეს ქართული ხალხური სიმღერები და რამოდენიმე ადგილები ბ. ფოცხვერაშვილის ახალ ოპერიდან „კერპთა დამხობა“. საზოგადოება დიდის აღტაცებით შეხვდა კომპოზიტორს და დააჯილდოვა დაუსრულებელი ტაშის ცემით. როგორც გავიგეთ, ბ-ნი ფოცხვერაშვილი ამგვარ კონცერტს გამართავს ქ. ბაქოში და ქ. კავკავში.

**ქ. ბათომი.** წინა წერილებში ვსთქვით, რომ ბათუმში სასცენო საქმემ ფეხი აიდგა და ეხლა თავის თავად გაიკვლევს გზასაო. 22 ოქტომბ. დასდგეს „სამშობლო“. თუმცა წინა დღეს, 21 ოქტომბერს „მსხვერპლს“ უფრო მომეტებული საზოგადოება დაესწრო, მაგრამ არც ეხლა იყო ნაკლები. ეს ამტკიცებს, თუ რამდენად მომწიფებულია პროვინცია სათეატრო საქმისთვის. ეს ისტორიული პიესა მგონი თითოს მათგანს რამდენჯერმე უთამაშნია, და ამიტომ დღესაც კარგად შეასრულეს. ბ. მურუსიძე (ხიმშიაშვილი) საუკეთესო იყო, რომ სუფლიორის ხმას ხელი არ შეეშალნა. ქეთევანს (რონელი) დიქცია რომ კარგი ჰქონოდა არა უშავდა-რა. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ ქართული კავების მაგიერ მას გრძელი ციგნური თმები ჰქონდა. სიმონ ლეონიძე (ყალაბეგიშვილი) შეუდარებელი იყო, როცა ეთხოვება ხიმშიაშვილს და ეუბნება: „აღთქმა არ დაგვივიწყდესო“... შაჰის როლში ბ. შალვა დადიანი და (ფაიხოშისა)—ქ-ნი ელ. ანდრონიკაშვილი უნაკლულონი იყვნენ... შაჰის მხლებელნი: ხარაზიშვილი, ხურციძე, ბარველი და ჯაყელი კარგები იყვნენ. ყველაზედ უკეთესი გოგია დიაკვანი (სარელი) იყო... დანარჩენები: ჩაგუნავა (ამირაჯიბი) დადიანი, (კორიშელი), ბეჟანაშვილი (დედა-კაცი) და წუწუნავა (პატარა ბიჭი) ხელს უწყობდნენ საზოგადო ანსაბლს...

27-ს ოქტომბერს დასი გამართავს ილიას საღამოს. **ტრ. ჭობარელი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ულრმეს მადლობას ვსწირავ ქიათურის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნ ნიკო მაქსიმეს ძე წუწუნავას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულ სასწავლებელს ერთი წლით გამოუწერა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“.

მიქელგაბრიელის ორ-კლასიან სასწავლებლის ზედამხედველი

**ი. წუწუნავა.**

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ ულრმესი მადლობა გადავუხადო თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ქვემო ხსენებულ პირებს, ანგარიში გაუწიეს ჩემს გაჭირვებულს მდგომარეობას და ნივთიერად დამეხმარნენ.

სია დამხმარებლების: 1) „ტრუდის“ ქარხნიდან, 25 მარიამობისთვეს. ვაზაგაშვილი 1 მან., მამასახლიშვილი 50 კ., ბაბაევი 50 კ., ვატილაძე 1 მან., მალაქი 50 კ., ჯავახოვი 50 კ., ბიკოვ 50 კ., ჩერემისინ 50 კ., მიხაილოვ 50 კ., ბრატიშევ 50 კ., გრიშკა 38 კ., იაშკა ტოკარი 20 კ., მაკარიანც 20 კ., სერიოჟკა 20 კ., კოჩელავაშვილი 20 კ., კობახიძე 20 კ., ავეტიქოვი 20 კ., ამირანოვ 10 კ., ზაუტაშვილი 10 კ., რაზმაძე 10 კაპ. სულ 7 მან. 88 კაპ.

2) წულაძეს ქარხნიდან: ხაჩატუროვ 1 მან., გოჩიტაშვილი 50 კ., ბარნოვი 75 კ., გილაშვილი 35 კ., ტერ-ბარსეგოვი 20 კ., გამრეკელოვი 30 კ., ივანოვ 20 კ., რუხაძე 20 კ., სოგომონოვ 50 კ., ბედიაშვილი 20 კ., ბედიაშვილი 20 კ., ბედიაშვილი 10 კ., ზარიძე 20 კ., ტოკარი მახაშვილი 30 კ., სლესარი კურძელაძე 50 კ. სულ 5 მან. 50 კაპ.

3) ბეჰლეს ზავოდიდან, თუჯის ჩამომსხმელ ქარხნიდან: კომპანია ბ. ა. 1 მან., ხუდაევ 80 კ., ტერ-სააკოვი 60 კ., ბესედინ 50 კ., კანდელაკი 50 კ., ზემოშვილი 50 კ., პოგოსოვი 50 კ., შიოშვილი 20 კ. სულ 4 მ. 60 კ. ჩამომსხმელმა ფრეიმ 3 მან. 50 კ. სულ 21 მან. 48 კაპ.

**ბეგლარ ნუცუბიძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## გამოსადეგი ცნობა

### მატარებელთა მისვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ).

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო** № 8, საღ. 7 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8/7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ** № 4/3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6/5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ.** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, ნაშ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 105, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83/7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9/10 6, დილ. 11 ს. 27 წ.

**მიხაილოვ.-დან სურამში: სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ. 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **სახ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 5 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ**, 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ.** № 84, ღამ. 1 ს. 18 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ.** № 27/28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ. 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

### სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **მ. ფომინა-ოსიპოვისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქაანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 547).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

### უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10. 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

### ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

### გემების მიმოსვლა

(ზ ა მ თ რ ო ბ ი თ)

**15 ოქტომბრიდან,**

**შ ა ვ - ზ ღ ვ ა ზ ე.**

(დრო ტფილისის საათით-ა აღნიშნული).

**„ვაჭრობა-ნავოსნობის“** საზოგადოების გემები.

**ბათომიდან გადის:**

1) პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფოსტო** გემი **შაბ.**, და **კვირ.**, ღამ. 12 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარული:**

№ 1. **ოთხშ.**—შუა ღამის 1 ს, 58 წ.
№ 2. **პარასკეობ.**, შუაღამის 1 ს. 58 წ.
№ 1. **სახ.**, **შაბათ.**, ნაშუადღ. 2 ს. 58 წ.
№ 2. **ორშაბ.**, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ბათომში მოდის:**

**ოდესიდან** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **საფ.**, **პარ.**, დილ. 6 ს. 58 წ.

**ირგვლივ მოსიარული:**

№ 1. **ორშ.**, საღ. 9 ს. 58 წ.
№ 2. **ოთხშ.**, საღ. 8 ს. 58 წ.
№ 1. **სამგზ.**, **პარ.** საღ. 8 ს. 58 წ.
№ 2. **კვირ.**, საღ. 6 ს. 40 წ.

### კასპიის ზღვაზე.

**„კავკაზი და მერკური“** საზოგადოების გემებისა.

**ბაქოდან გადის:**

**კრასნოვოდსკს**, ყოვ.-დღე საღ. 4 ს. 40 წ.
**ენზელს** პ ი რ დ ა პ ი რ ი, **პარ.**, და **სამშაბ.**, ნაშუადღ. 4 ს. 40 წ.

ირგვლივ მოსიარულე:

**ასტარას**, **ხუთშ.** ნაშუადღ. 5 ს. 25 წ.

**ბაქოში მოდის;**

**კრასნოვოდსკიდან** ყოველ-დღ. დილ. 9 ს. 40 წ.
**ენზელიდან** ორშ. და პარ., დილ. 60 ს. 5 წ.
**ასტარიდან** კვირ. ირგვლ. მოს. დილ. 4 ს. 44 წ.

## განცხადებანი

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**606“—11—12 ს. შეზხაპუჩება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**მ. გ. აგასაროვი**: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი**: 10—11 ს. საზებიო ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღნინი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი**: 12—1 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი**: 12—1 ს. შინ. კანსაბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი**: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციე მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

---

**ფედოსეევის ქუჩაზე, ოსიშვილის სახლებში, № 6**

**მ ზ ა დ დ ე ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი**

## საუკეთესო საჭმელები.

**გამოცდილ მზარეულის** ხელითა. აქვე **შეიძლება დაკვეთა** სადილისა და ვახშმისა. ყველა საჭმელები მზადდება **საუკეთესო კარაქით**. სადილი სამი თავისაგან შესდგება კვირაობით, ისე დღე ორი თავისაგან **ხელმისაწვდომ ფასებში.** 750

---

# გალოსნობა ძმ. ავსარქისოვებისა.

**სადგ. სკრაში**, (კავკ. რკ. გზა).

ჰგზავნის **ხეხილის ნერგებს** საზღვარ-გარეთულს, რუსულს, ადგილობრივ საუკეთესო ჯიშისას და **საწალკოტო** (**დეკორატიული**) **ხეებსა და მცენარეებს** ხელმისაწვდომ ფასებში. მსურველთ კატალოგები უფასოდ ეგზავნებათ. მისამართი: Ст. Скра, З. Ж. Д.) Авсаркисову. 710

---

# ქირავდება სარდაფი

85 ოთხკუთხი საჟენი, ღვინის სავაჭროდ ან საქონლისა ❦ მასალების საწყობად, **თათრის მოედნის მახლობლად**, პატარა სირაჩხანაში, № 13. ჰკითხეთ მეეზოვეს ალბერტს. 727.

---

# ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ფასი 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульвары пер., 2, соб. д. 1231

---

ხელოვნურად შეზავებული

# სამკურნალო და ხილეულობის წყალი

## მიტროფანე ლაღიძე და ამხ. სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 6.**

1407

---

**არ გაგონილა! მხოლოდ 2 მან. 95 კაპ.**

ვგზავნით ქვემოდ ჩამოთვლილ 14 ძვირფას ნივთს: მშვენიერ მკვიდრ უბის საათს კაცთათვის „ანკერ“ (და არა ცილინდრი) ინგლისურ შავ-ფოლადისა. იმართება თავით 36 საათში ერთხელ, უმაწყდანლო აქვს, 15 ქვიანია. 2. ქალთ. საუცხოო ყელის ძეწკვი, ახალი ფასონისა. 3. ბრელოკი - კინემატოგრაფი კომპასით, ან საუცხოო სანახავებით. 4. ზამშის ბუდე საათისათვის. 5. მოხდენილი ბეჭედი ამერიკულ ოქროსი „დუბლე“, პარიზულის თვალით. 6. სათეატრო ბინოკლი ახრამტიულ შუშით ჩვეულებრივის ზომისა, რომელიც დიდის მანძილიდან აახლოვებს საგნებს. 7. საათის უზრუნველმყოფელი ქურდებისაგან. 8. პარიზის პლისტოგრაფი, ზედმიწევნით მაჩვენებელი სხვა და სხვა სანახაობისა. 9—14 ექვსი მეტის-მეტად საგულისხმო სურათი. ესულ ეს ღირს მხოლოდ 2 მ. 95 კ., ორი წყება 5 მ. 50 კ., 4 წყება—10 მ. 50 კ. ასეთივე წყება-ქალის საათი—3 მ. 70 კ. ესენივე სახურავიან საათით 1 მანეთით **მეტი ღირს.** ხსენებული წყება საათით და ნივთებით საუკეთესო ღირსებისა და უმაღლესი ხარისხისა—3 მ. 95 კ., ორი წყება—7 მ. 40 კ. გასაგზავნი ორ წყებამდე—40 კაპ. (ციმბირში 75 კ.) საათსა ვგზავნით შემოწმებულ-შესწორებულს წუთი-წუთზე 8 წლის თავდებობით, ფასდადებით და უბეოდ.

მისამართი: И. Штрумфельдъ, Варшава, Электоральная 11. Отд. 116.

ეს მისამართი ამოსჭერით და კონვერტს ან ღია წერილს დააკარით.

Метцль. 36443. 1337.

---

**გამოსულია და იყიდება**

# არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

---


1870.
1882.
კალოშები
1860 Т.Р.А.Р.М. С.ПЕТЕРБУРГЪ ТРЕУГОЛЬНИКЪ
ТОВАРИЩ. РОСС. АМЕРИКАНСК. РЕЗИН. МАНУФАКТ.
ტრეუგოლნიკ

1553

---

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა.

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის

სელიოტკები,

და ყოველგვარი

**კ ო ნ ს ე რ ვ ე ბ ი.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

✦ **შ ა ვ ი ხ ი ზ ი ლ ა ლ ა** ✦

---

**ი ნ ჟ ე ნ ე რ ი**

# ი. ს. კონდოევი,

**ტფილისი.**
**ელისაბედის ქ, 164.**
**ბაქოს ქ. კუთხე.**

**ც ე მ ე ნ ტ ი**
ასფალტი, ეღრონი, ცეცხლის მძლე აგური და თიხა, ლურსმულობა, „заклепки“, გულცარიელი აგური და კრამიტი და სხ., საშ. მასალა.

**რკინის კოჭები,**
**საქვაბე რკინები,**
**საკუთხე რკინები,**
**სახურავების რკინები.**
(**შავი და ცინკნარევი**).

ტელეფონი:
კანტორისა 10—93
აგურხანისა № 11—96.

საშენებელი აგურები საკუთარ აგურხანიდან ვაკეზე 1474

---

# ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**იყიდება ა კ ა კ ი ს თხზულებანი:**

აკაკის რჩეული ლექსები ფასი 10 კ.
— ალექსი . . . . . 10 „
— ბაგრატ დიდი . . . . 10 „
— გამზრდელი . . . . 5 „
— გოგია მეჩონგურე . . 5 „
— გორის ციხე . . . . 5 „
— დათუნა გოცირიძე . 5 „
— თამარ მეფე . . . . 5 „
— იგავ-არაკნი ნათარგმნი 50 „
— ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი . . . 10 „
— მამლის ყივილზე . . 10 „
— ნათელა . . . . . 20 „
— ნაცარქექია . . . . 10 „
— ორი პუბლიც. სტატია 10 „
— ოცნება . . . . . 10 „
— სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე და საუბარი მამა-შვილს შუა . . . 10 „
— სიმღერა . . . . . 15 „
— ყვითელი სანთელი . . 10 „
— ქუთათლის სიზმარი . 5 „
— ჩემი ნაწერები . . . 75 „
— ჩემი თავგადასავალი 1 მ.— „
— წმინდა ნინო. . . . . 20 „
— Избранныя стихотворенія въ переводѣ русскихъ поэтовъ . . . . . 20 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“,